



1966 წ. № 158 (3135) 16 აპრილი, საშუალო. ფასი 3 კპ.

საპროლეტარო სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირის რეპუბლიკური საბჭოს ორგანო

გამოცემის 23-ე წელი

საპროლეტარო კლასის უბედობით


დნეპროპეტროვსკში დამთავრდა სსრ კავშირის მორიგი პირველობა მძლეოსნობაში. ეს ჩემპიონატი საკავშირო და საერთაშორისო მიღწევებით ვერ დაიკვეთინს, მაგრამ მაინც მან ბევრი ნიჭიერი ასპარეზი და აღმავალი გამოავლინა. ტურნირი კარგად დაიწყეს საქართველოს სპორტმენებმა — დინამოელებმა ვ. გორძემამევილი და გ. გუდაშვილი. გორძემამევილი პირველ სავეცდოზე შუბი 80,99 მეტრზე ტყორცმა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა, ხოლო გუდაშვილი ერთი იმ სამთავარი იყო, ვინც ბადროს ტყორცნაში წინასწარ შეჯიბრებაში გადალახა საკლასიფიკაციო ნორმატივი — 53 მეტრი. მართალია, ფინალურმა შეჯიბრებამ პირველობა უფრო გამოვლილ სპორტმენებს მიუტანა (შუბის ტყორცნაში რიგულ ი. ლუსისის — 85,08, ბადროს ტყორცნაში ლენინგრადელი ვ. ტრუსენიოვი — 57,20), მაგრამ მაინც გორძემამევილი მაჩვენებელი საერთაშორისო კლასის შედეგია. ფინალში გორძემამევილი 78,64 მეტრი აჩვენა და ვერცხლის მედალს დაეპატრონა. ხოლო გუდაშვილი პირველობა გამოუცდელით წააგო და საბოლოოდ III ადგილზე დარჩა. ამ შეჯიბრებაში მისი საუკეთესო შედეგი იყო 56,64 მეტრი.

ჩემპიონატში შესანიშნავ შედეგს მიაღწია ტ. შჩეკანოვამ. წინდელი მან ოქროს მედალი მოიპოვა სიგრძეზე სტომაში. — 670, ხუთბრტყლით ტურნირისას კი, სამჯერ გააუმჯობესა მსო-

ფლიო რეკორდი. ჯერ 694 სანტიმეტრზე გადახტა, მერე 696 სანტიმეტრზე, ბოლოს — 679 სანტიმეტრზე, მაგრამ იმის გამო რომ ზურგქარი ნორმალურს აღემატებოდა, შჩეკანოვას მაჩვენებელი მსოფლიო რეკორდად არ დამტკიცდება.

საბოლოოდ შჩეკანოვამ ხუთბრტყლით 4.916 ქულა მოაგროვა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ჩემპიონი გახდა მსოფლიო რეკორდმენი ამ სახეობაში მოსკოველი ი. პრესი — 5.084 ქულა. პრესმა თავი ისახელა 80 მ თარჯებშიც. მან აღნიშნული დისტანცია 10,7 წამში გაიბრინა და 0,1 წამით აჯობა ვერცხლის პრიზიორს ლ. ლარინოვას (გორკი), სიმაღლეზე სტომა მოიგო ხარკოველმა ლ. კომლეგამ — 173 სმ, 400 მ რბენა — ლ. სამოტილოვამ (ბრანსკი) — 54,2, 800 მეტრზე რბენა — ვ. კრივოშჩეკოვამ (მოსკოვი) — 2.04,7.

ქალთა შორის სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: ბადროს ტყორცნაში — თ. პრესმა (მოსკოვი) — 54,70, შუბის ტყორცნაში — ვ. ოსოლინამ (ლენინგრადი) — 54,60, 100 და 200 მ რბენაში — ვ. პოპოვამ (ჩელიაბინსკი) — 11,6 და 23,5. ვაჟებს სასიკადალო მანცდა მაინც ბევრი არაფერი აქვთ, მაგრამ თავისი უნდა მივხედოთ ლენინგრადელებს ა. და ვ. მიხაილოვებს. პირველმა ოქროს დასაკუთრა 110 მ თარჯებში — 14,0, ხოლო მეორემ თანაგუნდელ ი. პოტაპჩენკოს მკერდით



მისაწრო 800 მეტრის ფინიშიან — 1.48,2.

ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიპოვა კიეველმა ვ. კუდინსკიმ. 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში გამარჯვების შემდეგ, მან ძალე-ბი სცადა 5.000 — მეტრზე და აქაც ფინიშიან პირველი მიიჭრა — 14.02,2.

სხვებს ისევ უზარებია და რ. კლიმა აჯობეს. ორივე ჩვენს ქვეყანაში სეზონის საუკეთესო შედეგები აჩვენეს. ზეგერისმა (რიგა) მოიგო 400 მეტრზე თარჯებში — 50,4 ხოლო რ. კლიმა ურთ ტყორცნა — 69,84.

ჩემპიონატის სხვა სახეობებში ოქროს მედალს დაეუფლენ: 100 მ რბენაში — ვ. ოსოლინი (ლენინგრადი) — 10,5, 200 მ რბენაში — ა. ტუიაკოვა (ალმა-ათა) — 20,9, 400

მ რბენაში — გ. სვერტლოვი (ოდესა) — 46,8, 1.500 მ რბენაში — მ. ვილტი (კობტალი-იარევი) — 3.42,2, სამსტოში — ვ. კრავჩენკო (როსტოვი) — 16,32, ტყით სტომაში — გ. ბლიზნეცოვი (ხარკოვი) — 5 მ, სიმაღლეზე სტომაში — ვ. სკვორცოვი (მოსკოვი) — 215 სმ, სიგრძეზე სტომაში — ი. ტრ-ოვანისანი (მოსკოვი) — 788 სმ. ბირთვის კურსში ჩემპიონი გახდა ნ. კარასიოვი — 18,91 მ.

აღნიშნული ჩემპიონატი ჩვენი სპორტმენების ძალა გენერალური შემოწმება იყო ვეროპის ჩემპიონატის წინ. იგი 30 აპრილს დაიწყება ბუდაპეშტში.

ს უ რ ა თ ე: საქართველოს რეკორდმენი კ. გორძემამევილი.



მოსკოვში დამთავრდა მსოფლიოს IV ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში. როგორც ვიცოცხლებოდა, ტურნირში ყველა გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ ასპარეზობის მონაწილეებს. ზეით ადგილები არიან საბჭოთა მფრინავები, მარცხნიდან მარჯვნივ — ა. მიენოვი (II ადგილი), ვ. ოვსიანი (III ადგილი) და მსოფლიო ჩემპიონი ვ. მარტინოვი. საფრანგეთის აეროკლუბის დირექტორმა „ნორმანდია-ნემანს“ პოლკის ყოფილმა მფრინავმა გენერალმა ლ. კიუფემ, გამარჯვება პირველმა მიულოცა საბჭოთა სპორტმენს ლ. ვასილიევს. ცენტრშია „ნორმანდია-ნემანს“ პოლკის მფრინავ-პიტირანთა შეგობრობის ასოციაციის გენერალური მდიანი ი. ეიპენბაუენი.

ფოტო ვ. კოშევიჩისა და ს. პრეობრაჟენსისა.

გ უ ზ ი ნ ...

ქუთაისის „დინამოს“ კალათბურთის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი საქართველოსა და თურქეთის კალათბურთულ ვაჟთა გუნდებს შორის. თამაში სტუმრების შეტევით დაიწყო და ანგარიშიც მათვე გახსნეს. მალე ისინი 8 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ ლეჟავას, ალთაბაფისა და სხიერელის ენერგიულმა თამაშმა მალე დააწინაურა მასპინძლები, რომლებმაც I ნახევარი მოიგეს კიდევ — 41:32. შეს-

ვენების შემდეგ აშკარა იყო საქართველოს ნაკრების უპირატესობა. ისინი 25 ქულით დაწინაურდნენ და მინდორზე სათადარიგო შემადგენლობა გამოვიდა. მატჩის საბოლოო შედეგია 92:72 მასპინძელთა სასარგებლოდ. ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ: ალთაბაფი — 21, სხიერელი — 15, ლეჟავა — 14; სტუმრებიდან — ყაფლან-ილი და კოხლუჯა (16-16).

ლ. შაჩუაშვილი.

ს ა რ მ ი ე ლ

● მოსკოვი, 13 აპრილი. ფიზკულტურის საკავშირო დღის აღსანიშნავად ლუჟნიკში გამართულ შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდა ხარკოველი მოცურავე ტ. დევიატოვა. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მან აჩვენა 2.33,9 და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

● კ ი ე ს ტ ო ნ ი, 13 აპრილი. ბრიტანეთის ქვეყნების თამაშებში მოცურავეებმა მსოფლიოს კიდევ 3 რეკორდი გააუმჯობესეს. 440 იარღვე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვაში ავსტრალიელმა კ. უინაიტმა აჩვენა 4.38,8, რაც მისსავე ძველ რეკორდზე 0,2 წამით უკეთესია. მერე რეკორდი დაამყარა ი. ობრაიენმა. 110 იარღვე ბრასით ცურვაში მან დისტანცია 1.08,2-ში დაფარა. (ძველ რეკორდი უდრდა 1.08,4). მესამე რეკორდი კუთვნიან ავსტრალიის იმ გუნდს, რომელიც წინდელი შეჯიბრებიდან მოხსნეს წესად დარღვევისთვის. ანლა „კვარტეტმა“ პ. რეინოლდსის, ი. ობრაიენის, გ. დანისა და მ. უინდლის შემადგენლობით, კომპინირებულ ესტაფეტაში 4x110 იარღვე 4.03,2 აჩვენა, რაც გდრ-ს მოცურავეთა ძველ მიღწევას 2,2 წამით უკეთესია. აღსანიშნავია, რომ ბოლო ეტაპზე უინდლმა აჩვენა ფენომენალური შედეგი — 52,2. ინგლისელმა ქალმა ლ. ლადრონმა 220 იარღვე ზურგზე ცურვაში მსოფლიო რეკორდი (2.28,5) გაიმართა.

● ლ ი ე ნ ბ რ ა დ ი, 14 აპრილი. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა მფრინავ-კოსმონავტის ი. ვაგარინის სახელობის თასის გათამაშება წყლის თხილამურებით შეჯიბრებაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოვის „სპარტაკის“ სპორტმენებმა. ქალთა შორის მრავალბრტყლით I ადგილი დაიკავა ლ. ნეჩაევამ, ვაჟთა შორის — ა. მისანიკოვამ.

● ბულგარეთის ქალაქ კასანლევში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების მეტობრული არმიების სპორტმენთა შეჯიბრება სატრეკო ველოსპორტში. გუნდურ ჩათვლაში წარმატებას მიაღწიეს ჩეხოსლოვაკიელებმა, რომლებმაც 126 ქულით I ადგილი დაისაკუთრეს. სსრ კავშირის ნაკრები II ადგილზე გავიდა (90 ქულა). შემდეგ არიან: ბულგარეთი (88), პოლონეთი (81) და გდრ (60).

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა სპირინგითა შეჯიბრება. I ადგილი დაისაკუთრა ჩეხოსლოვაკიელებმა კუჩერეგმა, რომელმაც ბოლო 200 მეტრზე 11,6 აჩვენა. ფინალურ სერიებში მან დაამარცხა საბჭოთა ველოსპორტისტი ბოდნიეკსი. ეს უკანასკნელი II ადგილზე დარჩა.

4 მ გუნდური რბოლა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მოიგო — 4.41,4. გიტში I კილომეტრზე უძლიერესი იყო აგაბოვი (სსრ კავშირი) — 1.11,0. 100-წრიან რბოლაში ყველა აჯობა პოლონელმა კეგელმა (48 ქულა). საბჭოთა გუნდის (ბოდნიეკსი, ლოგუნოვი, სიტროვი) გამარჯვებით აღინიშნა, გამოდგენებით გუნდური რბოლა — 1.05,6.

მ. პროკოპენკო და ი. კავსაძე — II ადგილები

მოსკოვში, „ნორჩ პითნერთა“ სტადიონის ველოსპორტზე დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა სალიტრიო რბოლაში. შეჯიბრების I ეტაპზე სპორტმენები 25-კილომეტრის დისტანციას უკეთესად გაუმართეს. აქ სხვებზე უკეთესი შედეგი აჩვენეს გასული წლის ჩემპიონებმა, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მ. პროკოპენკომ (ლიტვი ი. კავსაძე), აგრეთვე ვ. პუშკაროვმა (მ. ჩერნოვი), მ. მარკოვმა (მ. შაიცივი) და ა. შოპინმა (ს. კომაროვი).

მომდევნო ეტაპზე (ნახევარფინალში) საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა რაოდენობა შემცირდა და ბო-

ლოს, ფინალური სერიის სტარტი ველოსპორტისტთა მხოლოდ მ წყვილმა აიღო. უძლიერესთა შორის უძლიერესნი ერთმანეთს I-სათიან რბოლაში ეჯიბრებოდნენ. აქ ყველას აჯობა მოსკოვის არმიელთა წყვილმა მარკოვმა და შაიცივმა. სსრ კავშირის ასალმა ჩემპიონებმა საათში 65 კმ და 450 მ დაფარეს. II ადგილი და ვერცხლის მედალი წილად ხვდათ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს მ. პროკოპენკოსა და ი. კავსაძეს. III ადგილზე გავიდა ა. და ვილოვ — ლ. სტრეკცინის ასპარეზობის დედა.

ტურნირი

გასულ კვირას მოსკოვში, ლუჟნიკის „როგბურთის კლავში“ დაიწყო ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. იგი წარმოადგენლობით საგრძობლად აღემატება თავის წინამორბედებს. გამარჯვებისთვის 11 ქვეყნის ჩოგბურთელები იბრძვიან.

შეჯიბრებაში გამოდის თითქმის ყველა „საჩოგბურთო ქვეყანა“, მათ შორის: ავსტრალია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინდოეთი და სხვ. საინტერესოა ითქვას, რომ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის თავისი დღი-უტანტებიც მყავს. ესენი არიან პოლონეთისა და აკისტანის ჩოგბურთელები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის კორტებზე პირველად ცდიან ძალებს.

ძლიერი შემადგენლობა თავმოყრილი როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ტურნირებში. ასე მაგალითად, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ჩოგბურთს დაუბრუნდა ევროპის ერთ-ერთი „უძლიერესი ჩოგანი“, სსრ კავშირის მრავალწლის ჩემპიონი ქალთა შორის ა. დმიტრიევა.

ჩოგბურთულ ვაჟთა ტურნირში ილიდი მოუთმენლობით ელიან ა. მეტრეველის გამოვლანადღეს მოსკოვში, იგი ყველაზე პოპულარული ჩოგბურთელია. საქმე ისაა, რომ ქართველი სპორტმენი უკვე რამდენიმე თვეა, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში გამოდის და საქმოდ წარმატებითაც. შეჯიბრების დაწყების წინ ა. მეტრეველმა განაცხადა: „მართალია, ძალზე გადაღლილი ვარ, მაგრამ შევეცდები ამ ტურნირში გულშემატკივართა ნდობა გავამართლო“.

შეჯიბრების პირველივე დღე სენსაციით აღინიშნა: ახალგაზრდა სპორტმენმა ვ. ბევერსოვმა მოუგო საბჭოთა ჩოგბურთის ერთ-ერთ ვეტერანს — მ. შოურს. სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია მეტრეველის გამარჯვება ა. სლავიანსკიზე — 6:2, 6:2, 6:1 და თუნარელისა — ვ. ტიტოვაზე — 6:4, 6:1.

წინსვლა სპარტაკიადისთვის

ნაყოფიერად მუშაობს ზესტაფონის ფერმინდობითა ჭარხის ფერმინდობის საბჭო (თავმჯდომარე გ. მახათაძე), რომელიც საამქროთა 14 კოლექტივს ხელმძღვანელობს.

საბჭო თავის საქმიანობას წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული სპორტის ნიშნების კალენდრითა და გეგმით წარმოართავს. ჭარხანაში უკვე გაიმართა შიდასკოლქვეშა პირველობანი სპორტის 7 სახეობაში. კარგი მომზადება გამოავლინეს II, III, IV და თბოწყალთმა-

რეგების საამქროების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშა-მოსამსახურეთა შორის საწარმოო ტანჯარჯის დანერგვასა და ზოგად-გამაჯანსაღებელ საქმიანობას. ჭარხის სპორტულ ბაზებზე მუშაობს ძალოსნობის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, შაშის, ქართული ჭიდიობის, სროლის, მაგიდის ჩოგბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის სექციები, შექმნილია წყურბი გუნდები.

ჭარხის სპორტსმენები რეგულარულად მონაწილეობენ სარაიონო და რესპუბლიკურ პირველობებში და ყოველთვის საპრიზო ადგილებს იკავებენ. ივნისში ბუსთავში ჩატარდა მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის V ტრადიციული რესპუბლიკური სპარტაკიადი სპორტის 8 სახეობაში. აქ ზესტაფონის ფერმინდობითა ჭარხის ქართული სტილის მძლეოსნობა გუნდმა (მწვრთნელი ნ. დეკანოზიძე) II ადგილი დაიკავა. მოქიდავეებს არც მოქალაქე, მძლეოსნები, კალათბურთელები, ფრენბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები და მომზადების ჩამორჩენილები გახდნენ: სიბოლოზე ტოპში — თ. მეშინაშვილი, ბირთვის კერაში — თ. კინკვალიძე, ჭიდაობაში — ლ. აბუქაძე, ა. პერანიძე და სხვ.

სპარტაკიადის საერთო კომპლექსურ ჩათვლაშიც ზესტაფონელებმა II საპრიზო ადგილი დაიკავეს. ისინი მხოლოდ მასპინძლებს — რუსთავის მეტალურგიული ჭარხის სპორტსმენებს ჩამორჩნენ.

ჩვენი კოლექტივის წარმატებას ხელი შეუწყო კეთილმოწყობილი სპორტული ბაზების სიმრავლემ. წლეულს შეკეთდა სტადიონი, სარ-

ბენი ბილიკის სპორტული სექციონები, დაარსდა წესრიგში მოწყვანეს საცენტრალური სპორტული რედაქცია კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების მოწყობა. ერთადერთი ნაკლები უნდა ჩათვალოს ის, რომ აუზი კარგიდ ვერ მოაგდება წყლით.

ახლა, ჭარხის კოლექტივი ენერგიულად ემზადება სპარტაკიადის IV სპარტაკიადისთვის და იმედია, საქმიანობაში არსებული ხარვეზების დაძლევათი კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მოუპოვებთ.

ა. ნაინიძე,
ზესტაფონის ფერმინდობითა ჭარხის პოლიტიკური განყოფილების კაბინეტის გამგე.

ორმაგად იზვიმეს

გუნდადის დღეს მიუძღვნეს

22 წლის წინათ მოვიდნენ აქ მშენებლები და პირველი ბარი დაარტყნა — დაიწყო საპროექტო მუშაობა ინდუსტრიული ცენტრის რუსთავის მშენებლობა. 22 წლის მანძილზე აქ მრავალი ჭარხანა, სახლი ავა მშენებელთა მადლიანმა მარჯვენამ. ამიტომაც იყო, რომ მოთხოვნილი მაღალი მარჯვენა ბლებსთვის მშენებელთა ტრადიციულ საცემართ დღესასწაულთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლენინის ორდენით დააჯილდოვა ამირკავისის „მეტალურგმენის“ № 1 ტრესტის კოლექტივი.

რუსთავილმა მშენებლებმა სიხარულით იხილეს თავიანთი დღესასწაული. ვალში არც ფიზკულტურელები დარჩენილან. ჭალაქის სპორტულ ბაზებზე გაიმართა შეხვედრები ფეხბურთში, კალათბურთში, ცურვაში, ჭიდაობაში, კრიკში, მათე-

ლოსნობა და სპორტის სხვა სახეობებში. ფეხბურთში ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატის გუნდმა ანგარიშით 2:1 მოუგო „ბინათმშენებლებს“. შემოკლებულ-მეჩანელო ჩარხის კალათბურთელებმა დაამარცხეს „მეტალურგმენის“ სამმართველოს სპორტსმენები — 35:31. მშენებელთა აუზში ძალიან სცადეს მოცურაელებმა, კოლტურისა და დასვენების პარკის სარბიელზე ერთმანეთს შეერკინენ ქართული სტილის მოქიდაელები. საზაფხულო კინოთეატრში გაიმართა მოკრივეებისა და ძალოსნების გამოსვლა. თითქმის ყველა კოლექტივში ჩატარდა ტურნირი მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკში.

რუსთავილმა მშენებლებმა აქტიური დასვენების შემდეგ შიორტის ახალ ზღუდეებს.

რ. ზაბრნიძე.

მეტალურგმენი

საშური

ჭალაქის ახალ საცურაო აუზში ჩატარდა რაიონის I ჩემპიონატი. სპორტსმენები პირველობა ეტალებოდნენ ერთმანეთს 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. შეჯიბრებამ მაყურებელთა დიდი ინტერესს გამოიწვია. რაიონის ჩემპიონი ქაბუკეთა შორის გახდა ა. ხანიძე, ხოლო მოზარდთა შორის — ი. ლომსაძე.

მ. გიხაშვილი.

ზესტაფონი

ერთ თვეს მიმდინარეობდა სოფლის სპორტსმენთა რაიონული პირველობა მშთ მრავალკიდეში, რომელშიც 550-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა მე-2 სეიარის, II — კვალთის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობის, ხოლო III — არგვეთის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებმა. 100-ზე მეტმა სპორტსმენმა შეასრულა II და III თანრიგის ნორმატივები.

ა. ზანუბაძე.

ფეხბურთი მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ-საზოგადოებრივი და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: მაგიდის ჩოგბურთში — უ. თეთრაშვილი (თბილისი); ტყვიის სროლაში — ა. სევერუხინი (თბილისი); ხაწყლოსნობა-სამოთრო სპორტში — ი. კანტერა, ა. სალნიკოვა, ვ. შახნაზაროვა (სამეფენი — თბილისი); საცხენოსნო სპორტში — შ. სიჭინავას (სოხუმი); სპორტული კომპლექსურ სახეობებში — შ. სუხიშვილი (თბილისი).

მ. თეატრს, ი. ნასყიდაშვილს, ე. გავას (სამეფენი — ბაქურიანის სპორტსკოლა); კლასიკურ ჭიდაობაში — ჯ. აბაშიძეს (თბილისის „ბურვესტნიკი“); თავისუფალ ჭიდაობაში — რ. ნიკოლაიშვილს (თბილისის „სპარტაკი“); სამომში — ვ. ლაშხის (თბილისის „ბურვესტნიკი“); გ. ვამუშვილს (თბილისის „დინამო“); ლ. ვასილეს (ცხინვალის „სპარტაკი“); გ. დელაქიშვილს (თბილისის ასე); კრიკში — ხ. ანტონიძის (სოხუმის „სპარტაკი“); ნიჩბოსნობაში — ა. ხაჩაძეს (მცხეთის „სპარტაკი“); მაგიდის ჩოგბურთში — თ. წულუაბას (თბილისის „სპარტაკი“); ტანჯარჯში — ნ. ვორონინას, მ. ფროლოვს, დ. მოხოლევას (სამეფენი — სოხუმი).

ცნობები ცხინვალის მსროლელთა ასპარეზობა

დოსაფის სასროლეთზე 3 დღის გრძელდებოდა სამხრეთ ოსეთის პირად-გუნდური პირველობა სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჭალაქ ცხინვალის, ლენინგორის, ზნაურის, ჯავისა და ცხინვალის რაიონების ნაერები გუნდები.

პისტოლეთით სროლაში ყველას აჯობა ა. არჩუაძემ. მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში გაეთა შორის პირველობა აბაგის დაუთმო კ. ხიმშიაშვილმა, ქალებში — რ. ბეკოვაძე.

გუნდური I ადგილი მოიპოვა ცხინვალის ნაერებმა, II — ჯავის გუნდმა, III — ლენინგორის მსროლელებმა.

„განთიადის“ სპარტაკიადი

მიმდინარეობს „განთიადის“ საზაფხულო სპარტაკიადი. ასპარეზობის პროგრამაში შედის კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, სროლა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში და ბავიის გაქვივა. სპორტის ზოგიერთ სახეობაში უკვე გამოვლინდა გამარჯვებული კალათბურთში უძლიერესი სახელი მოიპოვა ცხინვალის ელემტროვიბრომინაქსის ჭარხის გუნდმა. ფრენბურთში I ადგილზეა კვასის მაღაროთსამმართველოს კოლექტივი, ტყვიის სროლაში — ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის გუნდი.

3. ვალკოვაძე,
(ჩვენი კორ.).

გრუნების შეღებვა

ქუთაისის მინის ტარის ჭარხის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სათანადოდ ზრუნავენ თანამშრომლებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის განვითარებისათვის. ამას წინათ პარტიულმა მოხმინა ფიზკულტურის კოლექტივების საქმიანობის საკითხი და აღნიშნა, რომ ჭარხანაში ერთგვარად გაუმჯობესდა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, უფრო ნაშრობად ეწყობა შიდა-საქოლექტივო ტურნირები, აშხანაგური მარჩები მიზნობულ საწარმოებთან.

ბიურომ აღნიშნა ნაკლოვანებანიც. მაგალითად, ითქვა, რომ ჯერ კიდევ სუსტადაა დანერგილი საწარმოო ტანჯარჯში. მოყვას უნებების, წყნმდებელთა, მზა ნაწარმის და სხვა საამქროები არ მონაწილეობენ შეჯიბრებებში, ქალები სექციებში ნაკლებად არიან ჩამოქოლი. ხარვეზები იმთავითაა გამოწეული, რომ ბაზების სიმჭიდროვს განიცდიან.

ბიურომ დასაბა სათანადო ღონისძიება.

ი. გუხიაძე.

ბაზები შეკეთდა

სამსრეში არსებული საფეხბურთო სტადიონი წლების მანძილზე კეთილმოწყობილი იყო. საქონელი შეუფერხებლად დათარგმნდა მინდორზე, მოუვლელობამ იგი გააპრტახებამ პირამდე მიიყვანა.

სამსრის პარტიის რაიონის ბიურომ განიხილა საკითხი რაიონის სპორტული ბაზების კეთილმოწყობის შესახებ. რაიონისა და რასამჭობს აღმასკომის ერთობლივი დადგენილებით 5 ათასი მანეთი გამოიყო სამსრის სტადიონის შეკეთებად.

ა. ნახაშვილი.

კეთებლად ახლა სტადიონი დაცულია და კეთილმოწყობილი. ამას გარდა, შეკეთდა მდინარე ყვრილის მარცხენა სანაპირზე არსებული სპორტული ბაზები. განაშენდა კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთისა და ხელბურთის მოედნები, ბაზის შემოვლელს მავთულის ბადე.

ეს კარგი პარეპარია სამსრელი სპორტსმენებისთვის.

ა. ნახაშვილი.



ბორჯომის რაიონი, გვერდისუბნის ქალა. საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალურ საექსპერტო სადგურში რეგულარულად იკრიბებიან ნორჩი მხარეთმცოდნეები. წელსაც აქ ჩატარდა მათი IX რესპუბლიკური შეკრება, სადაც ქართველი მოსწავლეების გარდა იყვნენ ნორჩი ტურისტები მოსკოვიდან, კიევიდან, ლიტვიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და სხვ. ისინი 2 კვირის მანძილზე ისვენებდნენ გვერდისუბანში.

სურათზე (ზევით): გვერდისუბნის ბანაკის ხაეროთ ხელი. ქვევით მარცხნივ — ტურისტული შეკრების მონაწილეები, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის III კლასის მოსწავლე ვია გაბელია (მარცხნივ) და კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის მეთოხბურთელი გვი სოლოლაშვილი. ქვევით მარცხნივ — ბაქურიანის მოსწავლე თ. ნასყიდაშვილი ტრასის რიულ დისტანციაზე.

ფოტო და ტექსტი ვ. ნახაშვილისა.

დასასრულს 5 წუთი უკლდა...

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 15 აგვისტო.
 „ზენიტის“ (ლენინგრადი) — „ტორპედო“ (კუთაისი) 3:1 (1:0).
 „ზენიტის“ ვისტაჟი, ნეპომილევი, რუდი, სოვეიკო, დანილოვი, ლერგაჩოვი, საღირინი, გუსევი (ვასილიევი), რიაზანოვი, ნაუშოვი, ბურჩალონი.
 „ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წიფიძე, წვერავა, შოქვაშვილი, კობახიძე, ზარია, ვეკუა (პითანაია), ხაუალია, ასიტაშვილი, გ. ნოღია. მსაჯი ა. მუგურდუშვილი (კიევი).
 დუბლიორები — 2:2.
 სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ვ. დანილოვმა საგრძობლად გააძლიერა „ზენიტის“ დაცვა და ტორპედოელთა იერიშებს მასპინძლები თრგანისებულ კონტრშეტევებით შეხვდნენ. კარგანის თანხმობით ბრძოლის შემდეგ ლენინგრადელთა თავდასხმებმა ნაუშოვმა შეძლო ანგარიშის გახსნა — 1:0.
 ამის შემდეგ ტორპედოელმა ზარია 30 მეტრის მანძილიდან გაგზავნა ბურთი მოწინააღმდეგის კარში. ა. მუგურდუშვილმა ჯერ აღნიშნა კარის აღება, მაგრამ შემდეგ გადათქვა თავისი პირველი გადაწყვეტილება და აღარ ჩაბ...

თქოს, „მშვიდობიანად“ უნდა გამოგრებულიყვნენ ერთმანეთს, როცა ვასილიევი 85-ე წუთზე წინ გაიყვანა ათვისი გუნდი, ხოლო მატჩის დასასრულს, ბურჩალონიმ საბოლოოდ განამტკიცა „ზენიტის“ გამარჯვება — 3:1.
 * * *
 გუშინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში.
 ოლესის არმიელთა გუნდისა და კუბიშევის „კრილია სოვეტოვის“ შეხვედრა შედგა სარატოვში, როგორც ეს ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის განრიგით იყო გათვალისწინებული.
 მატჩი დამთავრდა კუბიშეველთა გამარჯვებით — 2:0.
 ბაქოში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნეფთჩანიკი“ და ერევნის „არარატი“. მატჩის შედეგია 0:0.



ბათუმის ცხრილი
 ძირითადი ტურნირი
 მდგომარეობა 16 აგვისტოსათვის

თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
20	14	6	0	43	6	34
20	11	6	3	31	19	23
19	10	6	3	43	26	28
21	9	7	5	34	22	25
19	7	11	1	19	12	25
19	12	1	6	32	29	25
20	8	5	7	23	22	21
20	7	8	7	25	17	20
21	8	4	9	28	34	20
20	6	7	7	20	20	19
18	8	7	7	19	20	19
19	5	7	7	19	24	17
19	7	3	9	17	23	17
21	5	7	9	15	29	17
20	4	8	8	19	26	16
20	6	3	11	28	39	15
20	3	8	9	15	29	14
18	4	1	13	15	29	9
20	1	5	14	11	85	7

ახალგაზრდული ნაკრები მიემგზავრება ჩინოსლოვაკიაში

სსრ კავშირის იუნორ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი მიემგზავრება ჩინოსლოვაკიაში, სადაც 18 აგვისტოს ქ. ტრენჩინში შეხვდება ჩინოსლოვაკიის იუნორთა ნაკრებს.
 საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან ლ. ნოღია (კუთაისის „ტორპედო“) და რ. ჰოხონელიძე (თბილისის „დინამო“).

პოლონეთის სპორტის 20 წლისთავი

ამას წინათ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა ფაშისტ დამპყრობელთა უღლისგან გათავისუფლების დღე და ქვეყნისათვის წლისთავი იხილება. ამ დღესასწაულზე აღინიშნა პოლონელი ხალხის დიდი მიღწევები საერთოდ და სპორტშიც.
 დავასახელოთ სამი სახეობა: კრივი, მძლეობა, ფარიაობა. ტუავის ხელთათმინის პოლონელმა ოსტატებმა 19-ჯერ მოიპოვეს ოლიმპიური მედლები, მათგან 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოსი ტოკიოში. აქაურ მოკრივეებს დღეს მთელი სპორტული სამყარო იცნობს.

პოლონელმა მძლეობებმა ომის დამთავრების დღიდან მსოფლიოს 12 და ევროპის 16 რეკორდს დაამყარეს. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი გრძელ დისტანციებზე მორბენლებმა, ბირთვისა და შუბის მტყორცნელებმა, მსტომელებმა. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც კმეშკოვსკი, შმიდტი, სილო, პინტოვსკი. თავი გამოიჩინეს პოლონელმა მოფარიაკეებმა, რომლებმაც ოლიმპიურ ასპარეზობებში 9, მსოფლიო ჩემპიონატებში კი 27 მედალი დაისაკუთრეს.
 პოლონეთში ძალზე პოპულარულია ესპანურისტიკა ასპარეზობებში. ერთ-ერთ შეჯიბრებაში პოლო-

ნელმა „ხუთმა მუშეკტერმა“ (პავლოვსკი, ზაბლოვსკი, პიანტოვსკი, ოკარა და ზუბი) უძლიერეს ესპანურისტიკებს — უნგრელებს მოუგო.
 დიდ წარმატებებს მიაღწიეს ძალოსნებმა, რომელთაც საოცრად მცირე დრო დასჭირდა უძლიერეს ოსტატთა კოლექტივის შესაქმნელად. როგორც პოლონეთის სააგენტო — პაპი წერდა, „ტოკიოს ოლიმპიადზე ისინი მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენებს ჩამორჩებოდნენ“. პოლონელმა ძალოსნებმა დამარცხეს ისეთი მრისხანე მეტოქეებიც კი, როგორც აშშ-ს და იაპონიის სპორტსმენები არიან. მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატი ძალოსნობაში

პოლონელ შტანგისტთა ტრიუმფით დამთავრდა — მათ I ადგილი დაიკავეს. ბუანოვსკი, ზელინსკი, ოზიმევი, პალინსკი, ნოვაკი, კანონოვსკი მრავალი მედლისა და რეკორდის მფლობელები არიან.
 პოლონეთში სხვადასხვა ასპარეზობასა და სპორტულ ღონისძიებაში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი მონაწილეობს. სპორტსა-ზოგადოებები 2,8 მილიონ წევრს ითვლის, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 7 პროცენტს შეადგენს. სპორტულ მოძრაობაში ჩაბმულია 3000 მწვრთნელი (მათგან ნახევარსპეციალური განათლება აქვს) და 10.000 ინსტრუქტორი.
 ყოველივე ეს მოწმობს, რომ პოლონეთის სპორტი კიდევ უფრო მტკიცედ მოიკიდებს ფეხს საერთაშორისო სარბიელზე.

ბათუმის ცხრილი

მდგომარეობა 16 აგვისტოსათვის

თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
23	14	5	4	45	23	33
23	12	7	4	38	23	31
23	10	8	5	24	13	28
23	11	6	6	29	20	28
22	12	4	6	24	17	28
23	10	8	5	36	22	28
23	11	8	9	27	21	25
23	9	7	7	22	21	25
23	9	6	8	42	25	24
23	9	6	8	31	26	24
23	9	5	9	30	27	23
23	7	8	8	17	21	22
22	8	5	9	36	27	21
22	9	2	11	28	31	20
23	7	6	10	20	27	20
23	5	9	9	24	29	19
23	5	5	13	16	35	15
22	4	6	13	22	40	14
22	3	8	11	18	45	14
23	5	4	14	25	61	14

მდგომარეობა 16 აგვისტოსათვის

თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
23	14	5	4	45	23	33
23	12	7	4	38	23	31
23	10	8	5	24	13	28
23	11	6	6	29	20	28
22	12	4	6	24	17	28
23	10	8	5	36	22	28
23	11	8	9	27	21	25
23	9	7	7	22	21	25
23	9	6	8	42	25	24
23	9	6	8	31	26	24
23	9	5	9	30	27	23
23	7	8	8	17	21	22
22	8	5	9	36	27	21
22	9	2	11	28	31	20
23	7	6	10	20	27	20
23	5	9	9	24	29	19
23	5	5	13	16	35	15
22	4	6	13	22	40	14
22	3	8	11	18	45	14
23	5	4	14	25	61	14



▲ ოსლო. აქ გამართულ მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობდა პორტუგალიის, უელსის, შვეიცარიის, ბელგიის, ესპანეთისა და ნორვეგიის საუკეთესო ათლეტები. გაიმარჯვეს ესპანელებმა. ასპარეზობისას 6 ერთეული რეკორდი გაუმჯობესდა.
 ▲ ლიონი. 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საფრანგეთის ახალი რეკორდი ქალთათვის დაამყარა დ. მოლიმ — 10.20,1.
 ▲ კინგსტონი. აქ გრძელდება ბრიტანული თამაშები. მძლეობნებმა ბევრი მაღალი შედეგი აჩვენეს. ასე მაგალითად, სამსტომი მოიგო ს. ოგუნმა (ნიდერლანდები) — 16,40, 220 იარღვე რბენა — ს. ალტემი (განა) — 20,7, 440 იარღვე რბენა — უ. მოტლემ (ტრინიდადი) — 45,2.
 ▲ სოფია. დამთავრდა ბულგარეთის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ჩემპიონის წოდება წინითი კატეგორიების მიხედვით დაისაკუთრეს: ე. ბოტეოვმა, ხ. ტრაიკოვმა, ს. კალჩევმა, ი. ივანოვმა, გ. გიუროვმა, გ. ცინცეროვმა. ბ. რადევმა და რ. კასაბოვმა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სოფიის „სპარტაკმა“.
 ▲ შარბა. აქ დამთავრდა უკრაინის ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში I ადგილი დაისაკუთრა „ჩერნომორსკი“ კოლექტივმა, რომელმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგო „ბორუსიას“ (გერ) — 5:0.

ცენტრალური საბორტო-საბლანერო კლუბის სპორტსმენებმა — ცოლქმარმა თამარ და ვალერი ზაგაინოვებმა „ა-15“-ის ტიპის პლანერით მოხდინეს ჯგუფური ფრენა. ორიოლიდან იფრინეს 240 კილომეტრი და ვოლგოგრადში დაეშვნენ. თამარის ეს მიღწევა 100 კილომეტრით აღემატება ქალთა ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს, რომელიც პოლონელ პლანერისტს ა. დანკოვსკიას ეკუთვნოდა. რაც შეეხება ვ. ზაგაინოვის მაჩვენებელს, იგი ოდნავ ჩამორჩება სსრ კავშირის რეკორდს. აღსანიშნავია, რომ ასეთ შორ მანძილზე ჯგუფური ფრენა სსრ კავშირში პირველად განხორციელდა.
 * * *
 სურათზე: ვ. ზაგაინოვი ემზარება მეულენს გაფრენის წინ სამაგრიბის მორგებაში.
 ფოტო ბ. ანტონოვისა. (საქლესი).



ცნობილი ფორვარდის წიგნი

ინგლისის მაღაზიებში გამოჩნდა წიგნი „ეს ფეხბურთია“. რომელიც ცნობილი ინგლისელი ფორვარდის ჯ. გრივის კალამს ეკუთვნის. აქ მოთავსებულია 100-ზე მეტი ფოტოსურათი, რომლებიც თვითონ ავტორმა შეარჩია. ერთ-ერთ თავში ჯ. გრივისი ესება მსოფლიო ნაკრების საკითხს და ასახელებს მის განდიდატებს. აი, ნაწყვეტი ამ თავიდან:
 „აროფესიულ ფეხბურთელთა უმრავლესობა დასლოებით თანხმობს ძალიან. 15 წელი გავატარე მწვანე მიწებზე და უფლებას ვაძლევ ჩემს თავს შევადგინო საკუთარი ნაკრები.
 არ მიყვარს დიდი რუსი მჭარე ლევი იანინი. „საუკუნის მატჩის“ პირველ ტაიმში ვითამაშე მის წინააღმდეგ. იგი მსოფლიო ნაკრების კარს იცავდა. მე კი ინგლისელთა თავდასხმაში ვითამაშობდი. მისი წყალობით ორჯერ დავკარგე ნაღდი შესაძლებლობა წარმატების აღ-

სანიშნავად ამეწვია ხელები და ტრიბუნების გრილის ქვეშ დამგრუნებულყოფივი ჩემს ნახევარზე. მიჩრვნივა იანინთან ერთად ერთ გუნდში ვითამაშო.
 დაცვაში დაეყენებდი ჯიმი არმფილს, რომელიც ერთიანად ეფექტურია და დაცვაშიც და შეტევაშიც. მასთან ერთად ვითამაშებდი ბრანსლიელ ნილტონს, სანტოსს, უდიდესი გამოცდილებისა და ოსტატობის მქონე ფეხბურთელს.
 ვიცნობ მრავალ ბრწყინვალე ნახევარმცველს — ზიტის (ბრანსლია), მასოპუსტს (ჩინოსლოვაკია), ოვიერს (ავსტრია). მაგრამ ვაგზობინებ ინგლისელ პავლეკებს — ბლენჩფლუაუერს, რაიტსა და ელვარდს. თავდასხმაში შევიყვანდი ვარინჩას, ლოუსს და, რა თქმა უნდა, სერ სტენლი მეტიუსს. მათთან ერთად სხვადასხვა ვარიანტში ვითამაშებენ პელე, ეუსებო, მური და ჯონსი“.

ჩემი პირობები — მოწოდების სიმაღლეა

ამ ერთი წლის წინ, მსოფლიო ჩემპიონმა ძიუდოში ჰოლანდიელმა ა. გიზინკმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თავი ანიებებს სპორტს. გიზინკი ყელამდე ჩაივლო კომპროციულ საქმიანობაში. იგი ტოკიოს ბაზრობაზე ჰოლანდიის ერთ-ერთი მსხვილი ფირმის წარმომადგენელიც კი იყო. იაპონელი კორნალი-სტრების კითხვაზე მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ძიუდოსთან კავშირი სამუდამოდ გაწყვიტა.
 * * *
 გილი დაისაკუთრა. აღსანიშნავია, რომ ენდოს არც ერთ იარღვე არ მიუღია 9,7 ქულაზე ნაკლები შეფასება.
 მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მიცუკური — 57,05, ვატანაბე — 57,05, კატო — 57, ცურუმი — 56,90, ნაკაიბა — 56,85, ნაკაბა — 56,85. წარუმატებლად გამოვიდა ოლიმპიური ჩემპიონი სტომში იამაშიტა.
 შედგა იაპონიის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრები, რომელშიც შევიდნენ ენდო, ნაკაიბა, კატო, მაცუდა, ცურუმი, ნაკაბა.

იაპონელები ემზარებიან

როგორც ცნობილია, 21-25 სექტემბერს დორტმუნდში (გერ) გაიმართება მსოფლიო პირველობის გათამაშება ტანვარჯიშში. შეჯიბრებისთვის გულმოდგინედ ემზადებიან იაპონელი სპორტსმენები, რომლებსაც სამართლიანად თვლიან გამარჯვების მთავარ ფავორიტებად.
 იაპონელებმა ტოკიოში მოაწყვეს შერჩევითი ტურნირი, რის შემდეგ დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი. მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა მწვრთნელის ა. კანეკას აღზრდილმა 29 წლის ენდომ, რომელმაც დააგროვა 57,50 ქულა და I ად-

ინდექსი 66418 საქ. კვ. ც-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქტორის მოადგილე
 ზ. ჯაფარიძე.